

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მერებისა და არჩეული ადგილობრივი და რეგიონული წარმომადგენლების დეკლარაცია ანტი-ბოშური განწყობების წინააღმდეგ

მე, როგორც მერი, არჩეული ადგილობრივი და რეგიონალური წარმომადგენელი,

ვითვალისწინებ რა ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესისა და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მიერ გაკეთებულ განცხადებას ბოშათა საკითხებზე, რომელიც ყველა არჩეულ ადგილობრივ წარმომადგენელს მოუწოდებს მტკიცე პოზიცია დაიკავოს ანტი-ბოშური განწყობების წინააღმდეგ.

ვითვალისწინებ რა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილ და/ან რატიფიცირებულ საერთაშორისო ინსტრუმენტებს ადამიანის უფლებათა სფეროში და მათ პროტოკოლებს, (შესწორებულ) ევროპულ სოციალურ ქარტიას, ეროვნული უმცირესობების დაცვის კონვენციას, რასიზმის, ქსენოფობიის, ანტი-სემიტისმიის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმასა და დეკლარაციას (ვენის დეკლარაცია), რომელიც 1993 წელს ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენციაზე იქნა მიღებული, ვითვალისწინებ ბოშების შესახებ სტრასბურგის დეკლარაციას (2010 წ) და ევროპის საბჭოს თემატურ სამოქმედო გეგმას ბოშათა და მთარული პირების ინკლუზიის შესახებ.

ვითვალისწინებ რა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის პიველ მუხლს, რომელიც რასობრივ დისკრიმინაციას განსაზღვრავს შემდეგნაირად: „ნებისმიერი განსხვავებული მიდგომა, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, საგვარეულო, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით, რომელიც მიზნად ისახავს ან რომელსაც შედეგად მოჰყვება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ადამიანის უფლებების თანასწორობის არალიარება ან ამ უფლებებით არათანაბარი სარგებლობა ან ამ უფლებების სრული უგულვებელყოფა“.

ვითვალისწინებ რა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის პოლიტიკის 2011 წლის #13 ზოგად რეკომენდაციას ანტი-ბოშური განწყობებისა და ბოშათა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

ვითვალისწინებ რა ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესის 333-ე რეზოლუციას (2011 წ), რომელიც ბოშათა ინკლუზიას

განიხილავს, როგორც ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების წინაშე მდგომ ამოცანას, 366-ე რეზოლუციას (2014 წ), რომელიც მოითხოვს ბოშა ახალგაზრდობის გაძლიერებას მეტი მონაწილეობის გზით, 403-ე რეზოლუციას (2016 წ), რომელიც ეხება ბოშათა და მოარულ პირთა მდგომარეობას მზარდი ექსტრემიზმის, ქსენოფობიის და ლტოლვილთა კრიზისის ფონზე ევროპაში და მერთა სამიტის საბოლოო დეკლარაციას (2011 წ).

ვალდარებ, რა რომ ანტი-ბოშური განწყობა წარმოადგენს რასიზმის განსაკუთრებულ ფორმას;

ვითვალისწინებ, რომ ადამიანის უფლებათა ამ საერთაშორისო ინსტრუმენტების მიხედვით, დაუშვებელია პოლიტიკური თავისუფლებების ბოროტად გამოყენება იმ მიზნით, რომ მოხდეს რასის, ფერის, ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობის საფუძველზე წინასწარი განწყობების გამოყენება, წაქეზება ან ინიცირება იმ მიზნით, რომ მოპოვებული იქნეს ელექტორატის სიმპატია ასეთი განწყობების საფუძველზე;

გააზრებული მაქვს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების განსაკუთრებული როლი და ფუნქციები დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესში, რომელმაც უნდა შექმნას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების ისეთი პლატფორმა, რომელიც იძლევა განსხვავებული მოსაზრებების გამოხატვისა და ინტეგრირების საშუალებას და ამით ხელს უწყობს ინტერესებსა და განსხვავებული მოსაზრებებს შორის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის დიალოგის წარმართვას და არა კონფლიქტის გაღვივებასა და არ-მონაწილეობას.

დარწმუნებული ვარ, რომ რადგანაც პოლიტიკური პარტიები საზოგადოების ანარეკლს წარმოადგენენ ან ცდილობენ რომ წარმოადგენდნენ, ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების, განსაკუთრებით ბოშებისა და მოარული პირების, წარმომადგენლობის არსებობა პოლიტიკურ პროცესში დემოკრატიული პროცესის განუყოფელ ნაწილია.

ვალდებულებას ვიღებ, რომ

- დავიცავ ადამიანის უფლებებს და დემოკრატიულ პრინციპებს და უარვყოფ დისკრიმინაციის, ძალადობის, დევნის, სიძულვილისაკენ მოწოდებისა და სიძულვილის ენის ყველა ფორმას ბოშებისა და მოარული პირების წინააღმდეგ ან ანტი-ბოშური გამოხატულების ნებისმიერ ფორმას;

- უარს ვამბობ ნებისმიერი ისეთი შეხედულების და პოზიციის გამოხატვაზე, გამოვლენაზე, გამოქვეყნებაზე ან გამოქვეყნების უფლების მიცემაზე ან დათანხმებაზე, რომელიც აღვიძებს ან აღვივებს ან შეიძლება გააღვიძოს ან გააღვივოს მტრული დამოკიდებულება და დაყოფა სხვადასხვა ეთნიკურ და ეროვნულ ჯგუფებს შორის. ვაცხადებ, რომ მყარად აღვუდგები წინ ანტი-ბოშურ და მოარული პირების საწინააღმდეგო განწყობებსა და მოქმედებას ჩვენ რიგებში.

- თავს ვიკავებ პოლიტიკური ალიანსისა და თანამშრომლობისაგან ნებისმიერ

დონეზე ყველა იმ პოლიტიკურ პარტიასთან და რეგიონული ხელისუფლების ორგანოსთან, რომლებიც აქეზებენ ან ცდილობენ რომ გააღვიძონ არასასურველი რასობრივი და ეთნიკური განწყობები და ეთნიკური შუღლი;

- ვიღვაწებ ბომა და მოარულ პირთა სამართლიანი წარმომადგენლობისათვის დემოკრატიის ყველა დონეზე და გააზრებული მაქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რომელიც მეკისრება, როგორც ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოს ხელმძღვანელს, რომ სტიმული მივცე და მხარი დავუჭირო ამ ჯგუფების წარმომადგენელი კანდიდატების დანიშვნას პოლიტიკური ფუნქციების შემსრულებელ პოზიციებზე ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე;

- პირობას ვდებ, რომ გავატარებ შესაბამის ღონისძიებებს იმისათვის, რომ ადგილობრივ და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებში მომუშავე ყველა ადამიანი იცნობდეს ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპებს და მოქმედებდეს ამ პრინციპების შესაბამისად.

o o o o o

მუნიციპალიტეტი / რეგიონი:

ქვეყანა:

გვარი:

სახელი:

პოლიტიკური მანდატი / მერი ან არჩეული თანამდებობის პირი:

ელ-ფოსტა:

ხელმოწერა:

გთხოვთ გაუზიაროთ ხელმოწერილი დეკლარაცია ევროპის ქალაქებისა და

რეგიონების ალიანსის ბოშებისა და მოარული პირების სამდივნოს alliance@coe.int.